ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 221
ოქტომბრის 17, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 221
ოქტომბრის 17, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ოკდომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ი ვ ე რ ი ა“

ღირს **სამ მანეთად** და **ათ შაურად** (3 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ღოღობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

მთავრობის ნებართვით

სამს ღვინოპისთვადგან გაიხსნა **ახალი—მეთოთხმეტე—აფთიაქი** პროვიზორის ნიკოლოოზ ივანეს ძის **გაზიეროვისა.** რიყის ქუჩა, სახლი № 26
(6—341—6)

ერევნის მოედანი, № 3.

ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

(საკუთრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა)

დასაჩუქრებული უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ჯ ი ლ დ ო ე ბ ი თ.

ფოტოგრაფიას მოეპოვება მრავალგვარი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე ახლად გადაღებული სურათები **საქართველოს არქეოლოგიურ ნაშთებისა.**

ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უკვე გადაღებულის სურათების გადიდებას.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი **შოთა რუსთაველისა**, გადმოღებული მხატვრის ბუროვის სურათიდან, და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლებისა და არტისტებისა.

(3—მ—2)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

№ 6. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 ოკდომბერს, 1902 წ.

◆ **გასტროლი ვ. ა. ბალანჩივაძისა** ◆

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სამი პიესა

I

ირინეს ბედნიერება

სოფლის სურათები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა

II

მარჯვე დღე

კომედია 3 მოქ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა
თარ. მ. საფაროვისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რონელი და სხვ.; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 6 მანეთიდან 10 მან.-დე, პარტერი 70 კ.-დგან 3 მ.-დე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-დან 45 კ.-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი 8 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურ ვარსკვლავზე“, „პარიზის ლატაკნი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ დღეს, 17 ოკდომბერს, ეგზარხოსის ეკკლესიაში მათი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი ალექსი გარდაიხდის წირვას და პარაკლისს აწ განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ის მოსალოდნელ განსაცდელისაგან სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრად.

◆ დღეს ქართულ თეატრში ქართული დრამატიული საზოგადოების დასისაგან გამართული იქნება ამ სეზონში მეორე საგასტროლო წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისიდგან მოწვეულია ბ-ნი ბალანჩივაძე, რომელიც „ირინეს ბედნიერებაში“ მამის როლს დიდის ხელოვნებით ასრულებს. ამავე საღამოს იქნება წარმოდგენილი ახალი პიესა „მარჯვე დღე“ ოსტროევსკისა და სოლოვიოვისა, თარგმნილი მ. საფაროვის მიერ.

◆ 16 ამ თვეს კავკასიის სამეურნეო სადგომში შესდგა იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს სხვადასხვა ღონის-ძიება ღვინის ფალსიფიკაციის საწინააღმდეგოდ.

◆ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს ღონის-ძიებანი მარცვლეულობის ვაჭრობის უკეთ მოსაწყობად.

◆ პარასკევს, 18 ოკდომბერს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება; საზოგადოების გამგეობისაგან ამ კრებაზედ საგანგებოდ მიწვეულნი არიან ტფილისის გუბერნიის მემამულენი. კრებამ უნდა მოისმინოს ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენება შესახებ სამეურნეო დაბალ სასწავლებლების დამართვისა სოფლებში.

◆ გუშინ, 16 ოკდომბერს, დანიშნული იყო კავკასიის სამკურნალოს საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წინადადება შესახებ მკურნალობის უკეთ მოწყობისა სოფლებში. სამკურნალო საზოგადოებას ამავე კრებაზედ უნდა დაემზადებინა პასუხი სამეურნეო საზოგადოებისათვის.

◆ გუშინ, 16 ოკდომბერს, ქალაქის გამგეობაში შეიყარნენ მოწყობილ ოთახების პატრონები, რომელთაც თავიანთ შორის უნდა გაენაწილებინათ ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი; რადგანაც ერთმანეთ შორის პატრონები ვერ მორიგდნენ, ამიტომ გამგეობის წევრს სთხოვეს, გამგეობამ თავის ნებით შეგვაწეროს გარდასახადიო; გასანაწილებელია 2216 მანათი.

◆ ქალაქის ხმოსანმა არშ. ბაღდასაროვმა მიართვა გამგეობას ქაღალდი და სთხოვს, რადგანაც, მონდობილობისამებრ, მე აღმოვაჩინე, რომ ქალაქის მმართველობაში მოსამსახურეს ბ-ნ ფურცელაძეს დაუჩემებია ქალაქის მამულები და ფურცელაძემ, იმის მაგივრად რომ დაეცადნა, და მსჯავრს წარმოსთქვამდა საბჭო ჩემს განცხადებაზედ, მიმცა ცილის-წამებისათვის პასუხის გებაში სასამართლოს წესით, ამიტომ ვითხოვ გამგეობისაგან ყველა იმ ქაღალდს, რაზედაც ვამყარებ ჩემს ჩვენებას და ყოველი მიწერ-მოწერა ამ საქმის შესახებაო.

◆ 26 ოკდომბერს დანიშნულია კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს სამეურნეო საზოგადოების წინადადება შესახებ სასამართლოების შესაფერისად მოწყობისა გლეხთათვის. კრებამ უნდა გამოარკვიოს რამდენად შეეფერება, ან არ შეეფერება აწინდელი სასამართლოები მცხოვრებთა მდგომარეობას, კრებამ უნდა დაამზადოს პასუხი ყოველ ამ შეკითხვის შესახებ სამეურნეო საზოგადოებისათვის.

◆ გუშინწინ, 15 ამ თვეს, მოჰხდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება; საბჭოს მოხსენდა ტფილისის სამეურნეო-სამებაღეო სკოლის კომისიის თხოვნა, იშუამდგომლეთ ტფილისის თავად-აზნაურობის წინაშე, რომ მან სათავად-აზნაურო ბანკის მოგებიდან რამდენიმე სტიპენდია დაჰნიშნოს თავად-აზნაურთა შვილებისათვის ამ სკოლაშიო. სხვათა შორის, ამ თხოვნიდგან სჩანს, რომ მომეტებული ნაწილი ამ სკოლაში მოსწავლეთა ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებია; ამ სკოლის დაარსებიდგან თითქმის 60%-ს გაუთავებია თავად-აზნაურთა შვილებს; ამათგან ბევრი მასწავლებლად არის ამ ჟამად თავის სასპეციალო საქმეში, 50 კაცი მუშაობს თავის მამულში, და სულ მცირე %-ს დაუნებებია თავი თავის ხელობისთვის; საბჭომ განიხილა-რა საბაღოსნო სკოლის თხოვნა, დაადგინა: იშუამდგომლოს თავად-აზნაურობის წინაშე. რომელიც უხვად ეწევა მოსწავლეთ და მომეტებულ ნაწილს ბანკის მოგებისას განათლების საქმეს ანდომებს, რომ მან ამ კეთილს საქმისათვის საბაღოსნო სკოლაში დაჰნიშნოს რამდენიმე სტიპენდია. მთელის წლის სწავლისა და შენახვის გარდასახადი-კი ამ სკოლაში 150 მანეთია.

◆ ქალაქის ბეითალი ბ-ნი როსტოვსკი, მეთვალყურე ქალაქის ბაკებში მორეკილ საქონლისა, შეუდგა მეორე თანამდებობის აღსრულებასაც. მას დაევალა ქალაქის საკლავ საქონლის ყურის გდება.

◆ ქალაქის გამგეობას განზრახვა ჰქონდა ქალების პირველ გემნაზიის პირდაპირ აეგო ძეგლი ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზედ; ამის გამო მიჰმართა უმაღლეს მთავრობას კავკასიაში და სთხოვა მიეცა ნება ქალაქისათვის გაემართა ხელის მოწერა; ამაზედ გამგეობამ მთავრობისაგან უარი მიიღო, რადგანაც მთავრობამ ჰკითხა, რამდენი დაგჭირდებათო და გამგეობამ დანამდვილებით ვერ უპასუხა-რა. ამ ჟამად გამგეობის წევრი კოკჩაევი შესდგომია დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვის გამოკვლევას; მექანდაკე ბ-ნ ხოლოროვიჩისათვის დაუვალებია წარმოუდგინოს გეგმა ძეგლისა თავისი სავარაუდო სია ხარჯისა; ამასთანავე მიუწვევია ტეხნიკოსები ამ ხარჯის შესამოწმებლად; რა დამზადდება ყოველა მასალა, კოკჩაევმა უნდა წარუდგინოს გამგეობას წინადადება, რომ იგი მასალა გადაეცეს მთავრობას და ხელმეორედ ეთხოვოს ხელის მოწერის გამართვის ნება.

◆ ამ ჟამად ტფილისის გუბერნატორს აქვს წარდგენილი დასამტკიცებლად საბჭოსა და გამგეობისაგან მოწონებული პროექტი ძეგლისა გოგოლის სახელობაზედ. გამგეობა, როცა მიიღებს გუბერნატორისაგან დამტკიცებულ პროექტს, უმალვე შეუდგება ძეგლისათვის მუშაობის დაწყებას; გამგეობას გარდაწყვეტილი აქვს ძეგლი ააგოს და საკურთხებლად მოამზადოს მომავალ მარტს, გოგოლის დაბადების დღისათვის.

◆ ქალაქის გამგეობა ამ ცოტა ხნის განმავლობაშივე შეუდგება პუშკინის სახელობაზედ ბიბლიოთეკისათვის სახლის აგებას. გეგმა და ხარჯთა-აღრიცხვა ამ სახლისა წარდგენილია გუბერნატორთან დასამტკიცებლად.

◆ 15 ოკდომბრიდან გორის მაზრაში დაიწყო კენჭის ყრა იმ ყმაწვილ კაცთათვის, რომელნიც გაწვეულნი არიან სამხედრო ბეგარაში.

◆ სოფ. საბუზრებში მანგლისის ახლო ვიღაც ნარიმანიძეს მოუკლავს ბებუთით 13 ოკდომბერს მღვდელი პეტრე იმნაძე.

◆ ხვალ, 18 ოკდომბერს, თუ კარგი დარია და მზიანი დღეა, გამოჩნდება მზის მცირედი დაბნელება. დაბნელება დაიწყება დილის 9 საათსა და 20 წუთზედ, გათავდება 11 საათსა და 20 წუთზედ. სულ ერთს საათს გასტანს. დანახვა დაბნელებისა გამურულ შუშით შეიძლება. დაბნელდება მხოლოდ ერთი მეოთხედი მზის დისკოსი.

◆ ამას წინად, ახალ ამბავთა შორის მოხსენებული გვქონდა ტფილისის სავაჭრო-საპოლიციო ზედამხედველის ბ-ნ ი. ფ—ძის შესახებ, რომ მან ცილისწამებისათვის პასუხის გებაში მისცა ქალაქის საბჭოს ხმოსანი ა. ს. ბაღდასაროვი, რომელიც აბრალებდა ფურცელაძეს, ვითომ ამ უკანასკნელმა ქალაქის ადგილი დაიჩემა. ის მამული აღნიშნულია უმთავრეს ქალაქის პლანზედ № 613-ით, რომელიც უდრის 418 ოთხ-კ. საჟენს, და ნაჩვენებია, როგორც ქალაქის კუთვნილება; ეს უმთავრესი პლანი ქალაქის მამულებისა შემდგარია, თუ არა ვსცდებით, 1868 წელს. მამული პირველად იჯარით ჰქონდა დავიდოვს, რომელსაც აუგია ზედ სახლი; სიკვდილს შემდეგ დავიდოვმა დაუტოვა სახლი ანდერძის ქაღალდის ძალით თავის მეუღლეს, რომელიც შემდეგ მისთხოვებია ბ-ნ ფ—ძეს, რომ ეს ადგილი ქალაქის კუთვნილება იყოვო, ამბობენ ქალაქის აგენტები, იქიდგანაც სჩანს, რომ განსვენებულს დავიდოვს უძლევია იჯარის ხარჯი ქალაქისათვის წელიწადში 12 მან., მიუღია კვიტანცია და ორდერით. ეს ყველაფერი საბუთი ქალაქის არხივიდგან, სადაც ნახევარი კვიტანციისა და ორდერისა დარჩენილა და დავიდოვის მიერ ხელ-მოწერილით. 1902 წელს შემდგარა კომისია ილიხანოვისა, ირიცპუხოვისა, ყანდურალოვისა, სულხანოვისა და სხვათაგან, რომელთათვისაც მიუნდვიათ გამოეკვლიეთ, ვისია ეს მამულით. ამ ქაღალდებში მოხსენებულია ისიც, რომ ბ-ნს ფ—ძეს თავის ადგილიდან მოუჭრია ერთი ნაჭერი და მიუყიდნია ხაფთასისათვის, მეორე ნაჭერი მიუყიდნია ტერ-ფარსეგოვისთვის.

ზემო აღნიშნულ კომისიას მოუთხოვია ქალაქის გამგეობისაგან, რომ დანიშნოს ქალაქის მიწის მზომელი და აღნიშნოს ეს ადგილი და სამზღვრებით. მიწის მზომელი ლარიონოვი აუწყებს კომისიას: ეს ადგილი პლანზედ აღნიშნულია ქალაქის ადგილად, სამზღვრებადაც ჩრდილოეთისკენ და აღმოსავლეთისკენ ქალაქის ადგილებიაო; ხოლო ახლა-კი, როგორც გავშინჯე ადგილობრივ, ამ ადგილის მიჯნა ერთის მხრივ ფ—ძისგან მიყიდული ხაფთასის მამული, მეორეს მხრივ მისგანვე მიყიდული მამული ტერ-ფარსეგოვისაო. ხაფთასისა და ტერ-ფარსეგოვის მამულს იქით-კი იწყება ისევ ქალაქის მამულებიო.

შემდეგ ლარიონოვი დასძენს, რა გავზომე ცალკე—და მისგან გაყიდული მამულები; აღმოჩნდა რომ სივრცით 800—900 ოთხ-კუთხი საჟენიაო. ერთი ქაღალდიც არის ჩართული საქმეში. ერთს დროს ფ—ძე აძლევს ქალაქს ქაღალდს და სთხოვს, ნება მომეცით ჩემს ქალაქის ადგილზედ ავაგო სახლიო; შემდეგ ფ—ძევე აძლევს ქაღალდს, რომ მე თავის დღეში არავითარი ქალაქის ადგილი არ მჰქონიაო. აი, ამ საქმის თაობაზედ უფროს რევიზორს ქალაქის ადგილ-მამულებისას, გამგეს ქალაქის თავშესაფრებისას და საბჭოს ხმოსანს ბ-ნ ბაღდასაროვს, დაუთვალიერებია რა ეს ადგილი და მიდამოები, უთქვამს, რომ ეს ადგილი ქალაქისააო, მოუთხოვია „კუპჩა“ დამტკიცებისა და, რასაკვირველია, ვერც ფ—ძეს, ვერც ხ—სის და ვერც ტ—კოვს ვერ წარუდგენიათ. აი, ამ საქმის თაობაზედ ბ-ნ ფ—ძეს ბაღდასაროვი მიუცია პასუხის-გებაში; ხოლო ბაღდასაროვი თავისას არ იშლის და ამტკიცებს, რომ ნამდვილად ეგ მამული ქალაქისაა და ეს საქმე გამოკვლეულ უნდა იქმნასო.

◆ 7 ოკდომბრიდგან 14-მდე ქალაქში გადამდებ სენით ავად გამხდარა 22 კაცი. ქალაქის დედათა სავადმყოფოში 7—14-მდე შესულა 3 ავადმყოფი; ქალაქის გადამდებ სენით თავშესაფრებში 7—14-მდე შესულა: 3 ყელ-წირვებიანი, 2 ხუნაგიანი და 1—ყვავილით ავადმყოფი.

◆ ქალაქის მილის წყლის განყოფილების საქმის-მწარმოებელი ბ-ნი ალიბეგოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ქალაქის დებულების 100 და 105 მუხლის ძალით.

◆ 1 ნოემბრიდგან მადათოვის კუნძულზედ გაიმართება გარეულ ოთხ-ფეხთა გამოფენა.

◆ ქალაქის სავაჭროთა პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ბაბოვმა წარუდგინა მოხსენება ქალაქის გამგეობას, რომ მან, საქმის სასარგებლოდ, 15 ამ თვიდგან ვაჭრობის ზედამხედველები ერთის ადგილიდგან გარდაიყვანე მეორეზეო.

◆ ბ-ნმა ედიგაროვმა სთხოვა გუბერნატორს მე-6 სამოქალაქო ნაწილში მიეცა ნება აგურხანის გამართვისა. გუბერნატორი გამგეობას შეეკითხა, თქვენის მხრივ ხომ დაბრკოლება არა არის-რაო.

◆ 14 ამ თვეს, კადეტთა კორპუსის ალაყაფის კარებთან იპოვეს მიგდებული ახალ დაბადებული ბავშვი.

◆ 13 ოკდომბერს მიხ. მაშკოვი იპოვნეს მკვდარი თავის სახლში; როგორც აღმოჩნდა, თავი ჩამოეხრჩო.

◆ 14 ოკდომბერს, კრიკოროვმა განუცხადა პოლიციას, ნივთები დავკარგე 148 მან. ღირებულიო; ბრალი დასდო ნიკ. შენგელიას, რომელიც შეიპყრეს.

ჩვენებური ამბები

ფოთი. 12 ოკდომბერს, საღამოს, დაიწვა სტავრიდის ერთ სართულიანი სახლი. ცეცხლი ისე ერთბაშად მოედო, რომ ავეჯის გამოტანაც ვერ მოასწრეს. სახლი დაზღვეული იყო.

—

21 და 22 ამთვეს აქ ჩამოვა ალექსი-მესხიშვილი და ნ. ჩხეიძე. გამართავენ ორ წარმოდგენას. ფოთელები წარმოდგენაზედ დასასწრებლად დიდის სიამოვნებით ემზადებიან.

—

აქეთ გამუდმებული წვიმებია; გურია-სამეგრელოში ჯერ კიდევ მოსავალი არ შემოუკრებიათ—ავდარი დიდ ზარალს იძლევა.

—

ქორეთი (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს დაბა საჩხერის მახლობლად (3 ვერსის მანძილზედ). ქორეთში ითვლება ორას კომლზედ მეტი მცხოვრები. უკვე ოცი წელიწადია, რაც ქორეთში არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა. ამ სკოლის ორკლასიანად გადაკეთება ბევრმა მოინდომა და ურჩია ქორეთელებს ერთ კლასიანი სკოლა ორკლასიანად გადაეკეთებინათ. ბოროტ-მოქმედება ქორეთში-კი ძრიელ გავრცელებულია; ისე წელიწადი არ გაივლის, რომ სამი, ოთხი სახლი არ დაიწვას მტრობით, კაცის მკვლელობა არ მოხდეს. ქურდობა ხომ გამუდმებით არის.

3 ოკდომბერს ქორეთში მოხდა ყოვლად საზიზღარი კაცის მკვლელობა. ეკკლესიის მახლობლად სცხოვრობდა გლეხი ბასილა ქამუშაძე, რომელსაც ათი წელიწადი მეტი იქნება ავადმყოფობის გამო ცალი ფეხი მუხლ ზევით მოსჭრეს; გაჭირვებული ორი ჯოხით მოსიარულე სცხოვრებდა გამარტოებული და თავისი გასაოცარი მუშაკობით თავს ისაზრდოებდა. ცალ-ფეხა კაცი მთელი დღე მოუსვენრად სიმინდს მარგლიდა, წყალი თავის ხელით მოჰქონდა და სხ. აი ასეთი გაჭირვებული და ყველასაგან შესაბრალისი კაცი სამს ამა ოკდომბერს თავისი საკუთარის სახლიდან გამოიყვანეს და პირუტყვივით შეუბრალებლად იმსხვერპლეს, სალოდავს დაუზოგავად დაუჩხვლიტეს თავ-პირი. გამოძიება უკვე სწარმოებს, მკვლელი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ. ღამე ქორეთი უწინდელ შიშიანობის დროს წარმოადგენს: მუდმივი თოფის სროლა, კივილ-წივილი კაცს მოსვენებას არ აძლევს.

მოსავალი ქორეთში ღვინისა ძრიელ ნაკლები იყო, სიმინდისა საშუალოზედ მცირე, პურისა-კი კარგი.

ქორეთის სკოლის მასწავლებელი ვ. ცქიტიშვილი.

—

დ. ცხინვალი. ცხინვალსა და მის მიდამოთა შორის წრევანდელი ჰირნახულის მოსავალს თითქმის ერთ-ნაირად ემადრიელება ჩვენის მხრის თავად-აზნაურობაცა და გლეხობაც, მაგრამ რა ქნას მარტო ცარიელმა, ჰირნახულის მოსავალმა, როდესაც მარტო ამაზედ მიდგება ოჯახის ათასი ჭირი და ვარამი, რომლის სათითაოდ ჩამოთვლა თავბრუს ახვევს კაცს. ხალხმა კაი ხანია უკუღმართობა დაიწყო. ხოლერობის აქეთ იმისთანა ხილის სუფთა ნაყოფი აღარ მოდის, როგორც ამ ათი-თორმეტის წლის წინად მოდიოდა და წელს ხომ მესამედიც არავის მოუვიდა. ჭანჭურმა და ხეჭეჭურმა ხომ მარცვალი არ მოიბა. ვენახებზედ ხელი აიღეს პატრონებმა. ვისაც ასის კოკის იმედი ჰქონდა, ორი-სამი გოდორი მოუკრეფია; იმასაც საქაჯავში თუ გაატარებს, თორემ ფეხით ვერ გამოსწურავს. ახლა იფიქრეთ, ამისი ღვინო რა უნდა იყოს.

ამის გამო საფიქრებელშია ჩაცვივნული ხალხი: ან სტუმარ-მოყვარეს რითი გაუძლევს, ანდა საზედაშეები ცარიელები როგორ დასტოვოს. ისევ შენახულ ჰირნახულსა ჰყოფს შუა და ის გააქვს გასაყიდად, მაგრამ მოგეხსენებათ, ჩვენებური ვაჭრების გაუმაძღრობა. როცა ჰყიდულობს, მესამედ ფასად უნდა იყიდოს და, როცა ჰყიდის, ერთი ორათა და სამათ უნდა გაჰყიდოს. აი ამათი მაზანდაც: თუ ძალიან კარგი ხორბალია ფუთში 55—60 კ. აძლევენ, სიმინდში და ქერში—40 კ. იძლევიან, ლობიოში 50—55 კ. ფუთში, კაკალში და ვაშლში-კი კაი ფასს იძლევიან და თუ ვისმე მოუვიდა ამასაც უცხო შემოსული ვაჭრები აძლევენ—ვაშლში მანეთს და—კაკალში ცხრა აბაზიდან ორ მანეთს ფუთში, თორემ ჩვენებური ჩარჩები-კი იქნებიან, ეს ფასები მისცენ თავის კარის მეზობელს.

ამას წინად სამართლიანი წერილი იყო დაბეჭდილი „ივერიის“ მეთაურად უგზო-უკლოებაზედ. განა ეღირსებათ როდისმე ქართლსა და კახეთს, ამ კარის მეზობლებსა და ღვიძლ ძმებს, ერთმანეთს დაეხმარნენ რითიმე გაჭირვება და ლხინში? წელს, როგორც ქართლში პური, ისე კახეთში ღვინო საკმაო მოვიდა. როგორც ქართლელმა გადაჰყარა უკვდავება ჰირნახული, ისე კახელმა უნდა გაატანოს ღვინო ნახევარ ფასად ჩარჩ-ბაცაცას. გზა და კვალი რომ ყოფილიყო, თავის ჰირნახულს გადასცვლიდა ღვინოზედ, რადგან კახეთში ზოგიერთ ალაგას პური ნაკლებად მოდის. დღეს-კი ქართლელი ქართლშივე დაეძებს და კოკაში (20 თუნგია) 7—8 მანეთს აძლევს, ისიც ჩიხირთმე ძმარში მაშინ, როდესაც შეეძლო ამ ფასით საშუალო ღვინო ეყიდნა კახეთში. სწორედ უბედურობაზედ უბედურობა ეს უგზო უკვლობაა და თუ დროზედ არავინ იღონა გზების გაყვანა, ხალხის გაჭირვება უკიდურესობამდის მიაღწევს და მისი გამობრუნება და წელში გასწორება ძნელი-და იქნება.

ჩვენებურმა მემამულეთა სინდიკატმა ხომ არ იქნა და ვერ მოახერხა, რომ ცხინვალში ერთი განყოფილება დაეარსებინა და ამოდენა ზღვა ჰირნახულით, თუ სარგებლობაა, თვითონ ესარგებლნა. დალოცვილიშვილებმა, ნუ თუ ბრეთი ამჯობინეს ცხინვალს!? ბრეთსა და ქარელ შუა რა მანძილი იყო? იმედია, დღეს მაინც დაუფიქრდება ამ საქმეს ახალი გამგეობა და ჩქარა განახორციელებს ჩვენს საერთო სურვილს და დაიხსნის ოთხ-ხუთ ხეობას ჩარჩ-ვაჭრებისაგან, რომელნიც საწონშიაც-კი თაღლითობენ.

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, რომ იტყვიან, სწორედ გადამწვარ ურიაობას დაემართა. საცოდავები, ნახევრობით გაიფანტ-გამოიფანტნენ ცოლ-შვილით და ვინც-კი დარჩა, ჩქარ-ჩქარა ათვალიერებს თავის მინგრეულ-მონგრეულ კედლებს. ზოგი ვეღარც-კი სცნობს თავის ნასახლარს და სხვებს ეკითხება, რომელი იყო ჩემი სახლიო და იშენს თავში. მართლაც და მთელის ქვეყნის ზარბაზან-ყუმბარები ვერ მოაოხრებდა იმ ხანში აქაურობას ისე, როგორც ცეცხლმა შთანთქა ორ დღეს სამასამდის სახლი. საკვირველია, ამოდენა მასალა ისე როგორ იმსხვერპლა, რომ ვერც კარ-ფანჯარა, ვერც კოჭები და სხვილი მასალა ვერა გადაარჩინეს-რა. სწორედ მიზეზიც ეს არის კედლების ასე დარღვევისა, თორემ შეიძლებოდა კედლები მაინც გამოეყენებინა ქვიტკირის პატრონს. დღეს ყოველივე გამოუსადეგარი შეიქნა ამ უბედურებისათვის. თითო-ოროლამ თუ გადაარჩინა რამ, ისიც დაშლილია და განაცრებული.

რაც ცეცხლს დაუკლია, ის სვინდისზედა და ნამუსზე ხელ-აღებულებს შეუსრულებიათ, ვითომდა შველის დროს. რამდენიმე თურმე პასუხის გებაშია მიცემული და რამდენიმეს კი შერჩა, თუ-კი შერჩენა ეთქმის ამ უსვინდისობით შეძენას. ვერ გაგვიგია, რა ამბავია ეს? ქვეყანას სოდომ-გომორის დღე დაზდგომია, იწვის თავის სარჩო საბადებლით, ისინი უყურებენ ამ სასოწარკვეთილებასა და, შველისა და დახმარების მაგიერ, ჰქურდავენ, სცარცვავენ და თავიანთვის ისაკუთრებენ! ვაი, ადამიანობავ, ვაი სირცხვილო, ნუ-თუ იმდენად დავეცით სულითა და ხორცით, რომ აღარ გვესმის, რასა ვშვრებით?!

ამ გადამწვარ სახლებს გარდა ზოგიერთა სახლები ვერაფერ მდგომარეობაში არის, სახელდობრ გაგიაშვილებისა, ხახამ ელისი და მრავალ სხვათა. სიძველისა გამო ბნედა მოსულ ადამიანივითა კანკალებენ და დღეს-ხვალ ჩამონგრევასა ლამიან და ვინ არის თავდები, რომ რაიმე უბედურებას არ მოახდენენ. ამიტომ საჭიროა ეხლავე ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს.

ერთი გარემოება გვაფიქრებს კიდევ, სახელდობრ ისა, რომ გადაწვის შემდეგ ორი-სამი ოჯახი ერთადა სცხოვრობს და, მოგეხსენებათ, თუ როგორი სისუფთავე იცოდნენ ჯერ მაშინ, როცა ცალ-ცალკე სცხოვრობდნენ ებრაელნი და რა უნდა იყოს ახლა? ღმერთმა-კი ნუ ჰქნას და ერთი გადამდები რამ ავადმყოფობა რომ გაჩნდეს, გათავდა. და აი სწორედ ამიტომაა საჭირო, რომ ამათი საცხოვრებელი ბინები იზრუნონ, რათა აიცილონ უარესს გაჭირვებას ისინიცა და სხვა მცხოვრებნიცა: როგორც გვითხრეს, კომიტეტიც ამავე გაჭირვებათათვის ზრუნავს და მთავრობაც, მაგრამ ზრუნვაც არის და ზრუნვაც. აი, მაგალითად, მთავრობას ათას-ორას სამოცი ხე უჩუქებია, რომ გამოიტანონ და გაჭირვება დაიკმაყოფილონ, მაგრამ ვინ არის გამომტანი?! ნუ თუ არ ვიცით, რომ ებრაელებისათვის ღმერთს ამისი შნო და უნარი არ მიუცია. მაშასადამე, მადლი ჰქმნეს, მარილიც მოაყარონ და იჯარით გასცენ ეს ხე-ტყე და ჩამოტანილი ხე-ტყე თანასწორ გაუყონ (თუმცა-კი ზოგიერთები ფულსა თხოულობენ). რაც ადრე იქნება ეს საქმე მოხერხებული, მით სამჯობინაროა, თორემ, თუ გაზაფხულმა უსწრო, რაც ცეცხლმა დააკლო, იმას გადამდები რამ ავადმყოფობა შეუსრულებს...

დროებით მეთვალყურე.

რუსეთი

სამოსამართლო რეფორმის პროექტის განხილვას სახელმწიფო საბჭოში შეუდგებიან დეკემბერში, როცა მზად იქნება პროექტი ახალ შტატების შემოღების შესახებ სამოსამართლო უწყებებში. საქმის მცოდნენი ირწმუნებიან, რომ თუმცა, სახელმწიფო საბჭოსთან სპეციალური კომისია იქნება დაარსებული, მაინც ამ პროექტის განხილვას სამი წელი მოუნდებაო.

— ზარაფხანაში მალე შეუდგებიან სპარსეთის ვერცხლის ფულის ჭრას.

— ოკდომბრის დამლევს, როგორც გაზეთები ამბობენ, მოხდება რაბინთა კომისიის კრება, რომელიც სასულიერო საქმეთა დეპარტამენტთან არსებობს; კომისია განიხილავს ზოგიერთ საქმეებს, რომლებიც ებრაელთა საოჯახო უფლებას შეეხება, მაგალ. ა) ლევირატულ ქორწინების გაუქმებას, ბ) რომ ცოლს ნება მიეცეს სხვას მისთხოვდეს, თუ ქმარი სადმე დაიკარგა და ცოლმა-კი არ იცის სახელდობრ სად არის მისი ქმარი.

— რამდენისამე ხნის წინად, მიწად-მოქმედების სამინისტრო დაეკითხა საერობო დაწესებულებათ სოფლის მეურნეობის საჭიროებათა შესახებ, რა ღონისძიება უნდა მივიღოთ მათ დასაკმაყოფილებლადაო. საერობო დაწესებულებათ 114 მოხსენება გაუგზავნია დასახელებულ სამინისტროში. სოფლის მეურნეობის ყველა საჭიროებათ და მათ დასაკმაყოფილებელ ღონისძიებათ ერობა სამ ნაწილად ჰყოფს:

ა) ის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც მარტო მთავრობაზეა დამოკიდებული;

ბ) ის ღონისძიებანი, რომელთაც განახორციელებს ერობა მთავრობისა და ხაზინის დახმარებით;

გ) ის ღონისძიებანი, რომელთა აღსრულებაც მარტო ერობის კომპეტენციასა და საშუალებაზეა დამოკიდებული. პირველ კატეგორიას ეკუთვნის გლეხთა დავალიანების შემცირება, გარდასახლება, რკინის გზის ტარიფის და სადამოჟნო გარდასახადის შემცირება და სხ. მეორე კატეგორიას ეკუთვნის ხალხის სამეურნეო განათლებისა-

ფელეტონი

სოფლის ქსენონები

(ვუძღვნი გუბერნიის ექიმს ტ. ს. ქიქოძეს).

როგორც ვიცით, ექიმთა მამა-მთავარ ჰიპოკრატის მიმდევარნი, ესრედ წოდებულნი ჰიპოკრატიკები, სამედიცინო მეცნიერების საფუძველს გამოცდილებას უდებდნენ ქვა-კუთხედად და გამოცდილებავე ითვლება ყოველ გვარ ახალ საქმის საკეთილო გზაზედ დაყენების საშუალებად.

სამთელქვეყნო ისტორია ცივილიზაციისაც ხომ ამასვე მოგვითხრობს, რომ ყოველ ახალშობილ საქმის მსვლელობა ბევრნაირად შეცვლილა ბრძენ-მეცნიერულ გამოცდილების ჩაგონებით, თუ ადგილობრივ საჭიროებათა მიხედულობით და ბოლოს, ბევრგან ძირითად ცვლილების შემდეგ, დამდგარა იგი თავის ღონეზედ. დიაღ, გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია ყველასი და ყველაფრისა.

მაშ ვიზრუნოთ ყველამ სოფლის ახალ-შობილ ქსენონების ღონეზედ დაყენების შესახებაც მათი მოქმედების გამოცდილებათა მიხედულობით, თუ გვინდა, რომ ხალხისათვის ეს დიდად საკეთილო საქმენი სათამაშო ქაღალდის ხუხულასავით არ ჩაიფუშნენ და ყველგან მოეფინნენ საქართველოს დაბა-სოფლებს ცხოველ-მყოფელ მზის სხივებივით.

წამალი მეორე მშველელი ღმერთიაო, ხშირად გაიგონებთ მდაბიო ხალხში, როდესაც ავადმყოფი წამალს არ იკარებს. მართლაც-და დღევანდელი სასოფლო ქსენონები ძველ ბერძენთა სამახსოვრო მითოლოგიისაგან შექმნილ ჯანმრთელობის მცველ-მფარველ ღმერთებად (ასკლეპიოსებად) მოევლინა სწავლა-ცოდნას მოკლებულ ხალხს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხშირად მოჰხდება ხოლმე, რომ კრიტიკულ მსჯელობას მოკლებული ხალხი „მტრის არა მცნობი, მოყვრის მგმობი“ ხდება თავისი უცოდინარობით, ცილის-მწამებელ ბოროტ-სულთა ჩაგონებით თუ თვით წმიდა საბრუნებელ საქმის ჩარხის უკუღმა ტრიალით.

ათის წლის წინად დავბრუნდი უცხოეთიდამ ქიზიყში და ხალხის ზნე-ყოფა-ცხოვრების სხვა მრავალ ცვლილებათა შორის, ისიც მოვიხილე თორმეტის წლის განმავლობაში სამშობლოს დაშორებულმა, რომ ტიკსუსუნე მიკიტნებიც-კი ჯანაოზ-აქიმობდნენ სოფლებში მენვესე-მელახოსტაკე მეწვრიმლებთან, დალალ-მაქთაღინებთან და სამაცდუროდ მაწანწალა ასატურა-ხეჩატურებთან ერთად.

სოფლის მკითხავებს კიდე დიდი, სადეკანოზო ვერცხლის ჯვრები ჩამოეკიდნათ გულზე და „ჯვრიანი მკითხავები“ საყველპურო გულთმისნობის ბოლოს ყელზე ვერცხლის ჯინჯილით ჩამოკანჭურებულ ჯვარს იხსნიდნენ, ანთებულ წმინდა სანთლებით მოჟრიკჟრიკებულ, წყლით სავსე ჯამფილაში ალოლადებდნენ რაღაც უჯმური ლოცვების დუდუნითა და ტუტუნით და იმ „ჯვარ-გავლებულ წყალს“ სამკითხაოდ მისულებს (რომელნიც დღეობის ხალხივით ბურბურებდნენ) ატანდნენ ავადმყოფებისათვის დასალევად; ასეთი წყალი ყველა სენის უებარ წამლად ითვლებოდა და ითვლება ჯერაც მდაბიო ხალხში.

ირცხვებოდა და იხოცებოდა მრავალი ხალხი უანგარიშო, სათოკე მკითხავ-აქიმებისაგან. არ გეგონოთ, რომ დღესაც სულიან-ხორციანად არ იღუპებოდნენ იმათგან მრავალნი. ჯერ მარტო მკითხავების ბრძანებით სხვა-და-სხვა დაშორებულ ხატის კარს სიარულით თითო სოფელს რამდენიმე ასი თუმანი ზარალი აქვს ყოველ წელიწადს. ახლა რამდენი ავადმყოფები იხოცებიან უწამლობით, რადგანაც მკითხავები უქადაგებენ: „ადამიანების ამომწყვეტი დოხტურების წამალი არ დაალევინოთ ავადმყოფს, თორე ხატი არ გიყაბულებთ“, და მკითხავების ქადაგება ხომ „უფლის ბძანება“ ჰგონია მდაბიო ხალხს.

ს. ქვემო-მაჩხაანში მრავლად სცხოვრობენ და ტრიალებენ წლის-წლობამდის მწიგნობარნი, მაგრამ, დახეთ ქართველურ დაუდევნელობას, ხსენებულ სოფელშიაც-კი გულარხეინად დაბრძანდება დღესაც კვერთხის მსგავსი ჯოხით და დარბაისლურის სიწყნარით „ჯვრიანი მკითხავი“, რომელსაც ერთხელაც არავის შეჰკითხებია: რომელმა არქიელმა გიწყალობა, დედავ და თვალო, ეგ დეკანოზის ჯვარიო. ნეტა მითხრა, რატომ არავინ ჯავრობს „ჯვრიან მკითხავებზე?“ მაგრამ მე გამოგიმჟღავნებთ, რისთვისაც არა ჯავრობენ: ისინი ამასა ფიქრობენ და ზოგნი თქმასაცა ჰბედავენ ღვინით გალექების დროს: „რამდენი მკითხავები მეტნი იქნებიან, იმდენი ჩვენი ჯიბის ხეირიაო, ღვთის წირვებსა და სადმრთოებს ისინი ავალებენ ხალხს და კურატი, მზვარა, შანა, საწირავები და ზედაშეებიც იმათივე ჩაგონების წყალობით მოგვდისო“. ყველა ბრიყვი ახლა ამას იძახის: „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის“.

დიაღ, წინაღმდეგობას არავინ უწევს მკითხავებს და იმათაც რა ენაღვლებათ, იქნება ამ მეოცე საუკუნის დამდეგში ესაც შემოიღონ მოდათ, რომ ჩაჩებიც ჩამოიცვან თავზე უვიცი ხალხის უფრო ადვილად გასაბრიყვებლად, მოსაწველად და გასაკრეჭად.

ათის წლის წინად საექიმო ფაკულტეტის, უკანასკნელ კურსის სტუდენტი-მეგობარი (ბ-ნი ე. ვაშაკიძე) მესტუმრა იმერეთიდამ. მალე გაიგო გარემო სოფლების ხალხმაც: მავანთან დოხტური მოსულაო, და მრავალნი სნეულნი და კეთროვანნი მოდიოდნენ და ეშინჯვინებოდნენ ვაშაკიძეს, რომელიც უსასყიდლოდ აძლევდა ყველას რეცეპტებსა და ტკბილ მოუბარ რჩევა-დარიგებას. მაშინ ვიფიქრეთ სტუმარმაც და მასპინძელმაც: სოფელი ექიმსა და სამკურნალოს თანაგრძნობით მოეკიდება და დიდად საჭიროა ხალხ-მრავალ ქიზიყს თავისი საკუთარი ექიმები ჰყვანდეს ჯამაგირით დაქირავებულიო. ამ აზრმა შვიდი წელიწადი იარა კუს-ნაბიჯით და სამის წლის წინად დაიბადა ქვემო-მაჩხაანში სასოფლო ქსენონი რამდენიმე კაცის თავ-გამოდებული მეცადინეობით, რომელთა შორის დიდი მადლობის ღირსია გუბერნიის ექიმი ტ. ს. ქიქოძე.

ხალხის მოწადინებით და საკუთარის ხარჯით დაარსებული მაჩხაანის ქსენონი პირველი ცდა იყო საქართველოში, მერე მას მოჰყვა ასეთივე ქსენონი სიღნაღის მაზრა-ქიზიყშივე: ანაგისა, ველის-ციხისა, დიდ-ჯიხაიშისა (იმერეთში), მარტყოფისა (გარეთ-კახეთში), ვაჩნაძიანისა (კახეთში), მეჯვრის-ხევისა (ქართლში) და სხვანი.

მაგრამ, სამწუხაროდ, მაჩხაანისა და ანაგის ქსენონების მიმყოლი მრავალი ხალხი (რვა ათასი კომლი), რომელიც ქსენონის საქმის დაწყებას ისეთი აღტაცებულის სიხარულით მიეგება, კარგა ხანია ცდილობს თავისაგან დაარსებულ ქსენონების სამუდამოდ მოსპობას, რის გამოც ქსენონის შესამნახო ფულს ძალის-ძალად ახდევინებენ გზირები მრავალნაირის რბევით, ცემა-ტყეპით და ლანძღვა-გინებით, და ხალხმა რამდენჯერმე სთხოვა სიღნაღის მაზრის უფროსს: „აღარ გვინდა ი ამოსაგდები დოხტურები, მოგვაშორე, შენი ჭირიმე, როგორმე თავიდამაო“. „მე ამის უფლება არა მაქვსო“, ჩააგონა აბობოქრებულს ხალხს მაზრის უფროსმა და კეთილი რჩევა-დარიგება მისცა, მაგრამ გაჯიუტებული ხალხი მაინც თავისას გაიძახის დაჟინებით, გულ-ბრაზიანად: „არ გვინდაო. ხემწიფემდინ ვივლით და მაგათ-კი გავაქრობთო“. რა არის ამის მიზეზი?—მიზეზები მრავალია, ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს; მე აქ მხოლოდ ორს უმთავრესს მიზეზს მოგახსენებთ მოკლედ და იმასაც, თუ რა გზით უნდა ეშველოს წამხდარ საქმეს, ჩემის ფიქრით. იმედი მაქვს, ჩემზედ ბევრით უკეთესად გა-

თვის ზრუნვა, მდინარის ნაპირების, კლდეების გამაგრება; მესამე—სამეურნეო და აგრონომიულ საბჭოთა ორგანიზაცია, საგუბერნიო და სამაზრო აგრონომთა მოწვევა, სამეურნეო იარაღებისთვის საწყობთა აშენება და სხვ.

— 10 ოკდომბერს გათავდა რუსეთის რკინის გზის წარმომადგენელთა სატარიფო კონგრესი. შემდეგი კრებანი გადადებულია ნოემბრის პირველ რიცხვებამდე.

— გრ. ლ. ნ. ტოლსტოის დაუსრულებია თავის რომანის „ჰაჯი-მურატის“ წერა, მაგრამ სახელოვანს მწერალს ჯერ არ ჰსურს, ვიდრე ცოცხალია, მისი დაბეჭდვა.

უცხოეთი

საფრანგეთი. ამას წინად მინისტრთა საბჭოს კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა ამხანაგთა ყურადღება მიაქცია საფრანგეთის ეპისკოპოსთა საერთო წერილს, რომელიც კონგრეგაციებს ესარჩლება. მინისტრთა საბჭომ ეპისკოპოსების საქციელი ჩასთვალა კონკორდატის დარღვევად, რომლითაც საეკკლესიო კრებულის წევრთ საერთო განცხადების წარდგენა აღკრძალული აქვთ, და დაადგინა—პასუხის გებაში მისცეს ის ეპისკოპოსნი, რომელთაც ხელი უწერიათ ზემოხსენებულ წერილზე. მერმე კომბმა მოახსენა საბჭოს ეპისკოპოს ტერროს საქმე, რომელსაც ერთ-ერთ საეკკლესიო დღესასწაულზე მეტად ცუდად მოეხსენებია მთავრობა. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ ტერრომ, ან უარ-ჰყოს ეს განცხადება, ანა და, თუ მართლა წარმოუთქვამს რაიმე ამ გვარი, უკანვე წაიღოს თავისი სიტყვებიო.

ინგლისი. ოკდომბრის 8-ს ჰიბსონ ბოულსი შეეკითხა საზოგადოებათა პალატას—გაქვთ რაიმე ცნობები იმის შესახებ, ვითომც რუსეთსა და სპარსეთს ისეთი ხელშეკრულობა დაედოსთ, რომლის წყალობითაც სპარსეთში შესატან ინგლის-ინდოეთის საქონელს მტრულის თვალით უყურებენ ადგილობრივი საბაჟო დაწესებულებანიო.

ამაზედ ბალფურმა უპასუხა, რამდენადაც ჩვენმა მთავრობამ იცის, რუსეთსა და სპარსეთს შორის ჯერ არავითარი ახალი ხელშეკრულობა არ არსებობს, განსაკუთრებით, ისეთის ხასიათისა, რომ რუსეთს მეტი საბაჟო უპირატესობა ეძლეოდესო. გარდა ამისა ბალფურმა განაცხადა, მთავრობამ ისარგებლა სპარსეთის დიდ ვეზირის ინგლისში ყოფნით და აგრძნობინა მას, რომ სპარსეთის მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ინგლისის სავაჭრო საქმეებსაო.

დარდანელის შესახებ პრემიერმა განაცხადა, ამ ჟამად მთავრობას არავითარი დიპლომატიური მოლაპარაკება არა აქვსო.

— ოკდომბრის 7-ს კრანბორნმა საზოგადოებათა პალატაში განაცხადა, ჩვენმა მთავრობამ რუსეთისაგან ცნობა მიიღო, რომ იგი პირდაპირ მოლაპარაკებას აპირებს ემირთან ავღანისტანის საზღვრების შესახებაო. ეს მოლაპარაკება არავითარ საპოლიტიკო ცვლილებას არ გამოიწვევს, რადგან განზრახვა გვაქვს მომავალშიაც სასტიკად დავიცვათ წინადელი ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც ავღანისტანი რუსეთის ინტერესთა გარეშე უნდა დარჩესო. ამაზედ ინგლისის მთავრობამ რუსეთს უპასუხა, —ჩვენ ვერავითარ მსჯელობას ვერ ვიქონიებთ არსებულ შეთანხმებაში რაიმე ცვლილების მოხდენის შესახებაო; აგრეთვე ვერ შევუდგებით იმ რეფორმათა პროექტების განხილვას, რომელნიც ავღანისტანის ემირს უნდა წარედგინოს, სანამ რუსეთი უფრო გარკვევით და დაწვრილებით არ აღნუსხავს იმ საშუალებათა, რომლითაც მას (რუსეთს) იმედი აქვს უფრო სასურველი ურთი-ერთობა დაამყაროს საზღვრებზედ, ვიდრე ეხლა არსებობსო. ამ უკანასკნელ განცხადებაზე რუსეთს ჯერ პასუხი არ მიუციაო.

სამხრეთ-ამერიკა. სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკები საიდუმლო კავშირით შეჰკვრიან ერთმანეთს, და ამ გარემოებას დიდ საგონებელში ჩაუგდია ვაშინგტონის მთავრობა. ყველაზედ უფრო ის აღონებს შეერთებულ შტატების მთავრობას, რომ ერთ საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ კოლუმბიას ნება დაურთავს ჩილის რესპუბლიკისათვის, ომიანობის დროს თავისუფლად შეეძლია ჯარებისა და სამხედრო სურსათის გატარება პანამის ყელზეო. კიდევ მეტ მნიშვნელობას აძლევენ იმ მდგომარეობას, რომელშიაც შეერთებული შტატები ჩავარდება, როდესაც ოკეანთა-შუა არხი გაივლის ნეიტრალურ ადგილებზე. არგენტინის რესპუბლიკასა და ბრაზილიას მოუწონებიათ ჩილის, კოლუმბიისა და ეკვადორის კავშირი. ეხლა მხოლოდ სამხრეთ-ამერიკის დიდ-დიდი სახელმწიფონი დარჩნენ კავშირს გარედ.

მაკედონია. სოფიის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი გადაწყვეტილება მაკედონიის უმაღლეს კომიტეტისა:

„დღეს, 2 ოკდომბერს 1902 წელს, მაკედონია. ადრიანოპოლის უმაღლესმა კომიტეტმა აჯანყების დიდის სისწრაფით გავრცელების გამო და იმ წარმოდგენით, თუ რა განსაცდელი მოელით მათ და რა საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან რილის მთების გადაღმა მცხოვრებნი, დაადგინა:

1) კომიტეტმა მოიწვიოს საზოგადოება სოფიისა და სხვა ბულგარიის ქალაქებში კრებაზედ მაკედონიის მდგომარეობის განსახილველად.

2) ამ კრებაზედ უნდა დაესწრნენ სამთავროში მყოფი მაკედონია-ადრიანოპოლის საზოგადოებათა უმთავრესნი წარმომადგენელნი.

3) დაგზავნოს დეპეშები რომსა, ლონდონსა, პარიჟში, პეტერბურგსა და მოსკოვში სლავიანთა საზოგადოებას. ამ დეპეშებით აუწყოს ევროპას მაკედონიის მდგომარეობა და ჰსთხოვოს ევროპის საზოგადო მოღვაწეთ, შეაფარონ თავიანთ კალთას ქვეშ მაკედონელი ქრისტიანები და დაიცვან იგინი ოსმალთა მტარვალობისაგან.

4) მიჰმართოს სოფიაში ევროპის წარმომადგენლებს დაწვრილებითის აღწერით მაკედონიაში მომხდარ სისხლის ღვრისა.

5) უმაღლეს მაკედონია-ადრიანოპოლის კომიტეტის თავმჯდომარე გაემგზავროს ევროპის სახელმწიფოებში, და იქაურ საზოგადოებას გააცნოს მაკედონელ-ადრიანოპოლელთა უმწეო მდგომარეობა. იშუამდგომლოს მათთან, რომ დაეხმარონ ოსმალთაგან წამებულ ხალხსა.

6) მიჰმართოს მოწოდებით ყველა სოფიაში მყოფ მაკედონელს და სთხოვოს შეეწიონ ერთმორწმუნე თანა მემამულეებს, რითაც შეუძლიანთ.

7) მოიწვიონ მაკედონიის ყველა მოღვაწენი სოფიის მოღვაწეებთან შესაერთებლად და საერთო სამოქმედოთ.

8) სთხოვოს ბულგარიის ჟურნალ-გაზეთებს, გამოექომაგონ მაკედონელებს და მხარი მისცენ მათის განთავისუფლების საქმეს.

9) ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოებათა დახმარება აღმოუჩინონ მაკედონიიდგან გადმოხვეწილებს დაეხმარონ.

10) დაეხმარონ აფთიაქის საზოგადოებებს სოფიაში ოსმალთაგან ხეიბარ ქმნილთა.

11) შესწყვიტოს დროებით გაზ. „Реформи“-ს გამოცემა და მის სამაგიეროდ მაკედონიის საქმეების შესახები ცნობები სასწრაფო დამატებებით ვრცელდებოდეს.

თავმჯდომარე სტ. მიხაილოვსკი.
მდივანი ივ. სტოიჩევი.
კასსირი გ. ივ. ბელევი.

სხვა-და-სხვა წერილები

მესხეთის და ჯავახეთის გათათრება *).

(იხ. „ივერია“ № 220).

მესხეთს ქართველთა საიდუმლო ქრისტიანეთა რიცხვი ყოველთვის არსებობდა და მათი რიცხვი 25 სოფელზედ მეტი ყოფილა. ამათს საიდუმლო მღვდელს ოსმალურად ეცვა, თავზედ სარუდი ეხურა ან დოლობანდი, ხშირად ჩოხასაც იცვამდნენ, ზედ ნაბადს ისხამდნენ და საეკკლესიო ნივთებს და წიგნებს ნაბდის ქვეშ მალავდნენ.

თავიანთი სალოცავი ოთახი გაკეთებული ჰქონდათ დარნების მსგავსად, თხრილებში, სათონეში და სხვ. საიდუმლო მღვდელი ამ ადგილებში უღოცავდნენ ჩუმ ქრისტიანებს. საღმრთო მსახურებას ისე ოსტატურად ასრულებდნენ, რომ მათის მოქმედებისა ვერავის-რა ესმოდა.

ასეთი მღვდლები 1839 წლებამდე ყოფილან და საიდუმლო ქრისტიანებიც მრავლად ჰყოლიათ: ეს საიდუმლო ქრისტიან მღვდელნი და ერნი სისწორით ასრულებდნენ თვით მუსულმანთა სჯულის წესებსაც. ჯამეში ერთგულად დაიარებოდნენ, და ყოველს სავალდებულო წესსაც ასრულებდნენ, და ისე, რომ კაცი თავის დღეში ვერ იფიქრებდა, იგინი ნამდვილი მუსულმანები არიან და მათში ქრისტიანობისა არა არსებობსრაო.

ამით ეს პირნი დიდს შნოს, დიდს ოსტატობას იჩენდნენ. ასრულებდნენ ქართველთ დღესასწაულებს, მაგალითებრ, აღდგომას; იცოდნენ კვერცხის შეღებვა, მილოცვა, საღმრთოს დაკვლა და სხ.

წმინდა სანთელს, ნართს და სხვა ამგვარებსაც თვითონვე ამზადებდნენ, ზიარება, სეფისკვერის დარიგება, ზეთის ცხებაც სცოდნიათ.

საიდუმლო ქრისტიანეთა ასპარეზზედ დიდად დაიმსახურეს თავი რამდენიმე საიდუმლო მღვდელმა, ორბელიანებმა, ხმალაძეებმა და სალარიძეებმა. ამათ შორის ფრიად გამოჩენილი ყოფილა ვასილი მღვდელი ორბელიანი, რომელიც იერუსალიმიდამ 1757 წ. მოსულა საქართველოში. ეს მღვდელი ასათურას თურმე აშკარად ატარებდა. ამავ ვასილის დროს ყოფილან მღვდლებად გრიგოლი, დიმიტრი და დესპოდე ეპისკოპოზი. ესენი ყველგან ქართველთ ამხნევებდნენ, მომავლის იმედებს უნერგავდნენ და თან არწმუნებდნენ, მაგრად იყავით, მომავალი ჩვენია, ჩვენ ქრისტიან ქართველებთან დავკავშირდებითო. საიდუმლო ქართველნიც, რასაკვირველია, გმირულად მოქმედებდნენ და იდევნოდნენ, ყველაფერს ითმენდნენ.

1805 წ. ამ მღვდლების ამბავი შეუტყვია ვიდაც ფანატიკოს, ხოჯას, დავა აუტეხია და ეს დავა კონსტანტინეპოლს წასულა, იქაური შეიხ-ულ-ისლამი დიდად განრისხებულა. იქიდამ ახალციხის სულიმ ფაშას დიდი საყვედური და მუქარის წერილი მოსვლია. ფაშა გაცეცხლებულა, მაშინვე დაუბარებია ეს მღვდელი და უკითხავს:

— შევიტყე, ქრისტიანების სჯულს არა სჯერდებით და სხვებსაც ახვევთ თავზედ?

— არა, ჩვენო ფაშავ, ჩვენ იმდენი დრო სადა გვაქვს და ან, როგორ მოვახერხებთ ამას.

— მე დამარწმუნეს, მასთან დიდი საყვედურიც მომივიდა. გთხოვთ, ჩემს საბრძანებელს მოშორდით და წახვიდეთ აქედგან?

— ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ.

— დახოცილ იქნებით და აქ-კი არ დაშთებით!

— დაგვხოცეთ, მაინც ბოლო ეგ არის ჩვენი.

— უსათუოდ მოისპობით, მოშორდით აქაურობასა.

— ერთს წუთსაც ნუ გვაცოცხლებთ, თუ ჩვენზედ რამე ეჭვს იქონიებთ. თუ ან ვისმე თათარს ათქმევინებთ, რომ იმას ჩვენ ქრისტიანურად ვალოცებთ, ან მათში სადმე რამე გვექადაგოს ქართველებზედ.

— მაშ თქვენ თათრის ოჯახებში რად დაიარებით, იმათში რა გესაქმებათ, რა გინდათ?

— ისინი ჩვენი დოსტები არიან.

— მე ეგ არ ვიცი; ბრძანება ასეთია, ან მოშორდით ახალ-ციხეს და ან გათათრდით.

— ვერც ახალციხეს მოვშორდებით, ვერც გავთათრდებით.

— იმას გარეშე, რომ თქვენ ჩვენს თათრებში ქრისტიანობას ავრცელებთ და ქართულად ლაპარაკობთ, ახალ-ციხიდამ რუსის მთავრობას ცნობებსაც უგზავნით, აქ რუსების მოყვანა გინდათ. თუ არ წახვალთ, იცოდეთ, დიხოცებით. მე გიბრძანებთ, წახვიდეთ.

— არ წავალთ, არა, არა. რაც გენებოს, ისა ჰქენით, ჩვენთან ლაპარაკი უბრალოა.

— გირჩევთ, დაგვთანხმდეთ, თორემ თქვენი საქმე ცუდად იქმნება.

(დასასრული იქნება)

ნარკვევი

ჩვენი სოფელი უკიდურეს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. შევიწროებული ნივთიერად, ეკონომიურად, დაცემული აგრეთვე გონებრივადაცა და სულიერადაც. აბა, როგორ უნდა იზრუნოს გლეხმა თავის სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, როცა უმთავრესი და აუცილებელი მოთხოვნილებანი ვერ დაუკმაყოფილებია? ჩვენმა გლეხმა იცის, რა გემო აქვს სწავლას, რა „კარგია ნასწავლობა“, მაგრამ რა ჰქნას, ხელმოკლეობა სულს უხუთავს და მის სულიერს და გონებრივ მოსწრაფებასაც ფრთას აკვეცს ძირშივე. შეძლება არა აქვს, რომ განათლდეს და გონებრივ ამაღლდეს; განათლება არა აქვს, რომ ქონება შეიძინოს და სამეურნეო საქმე რაციონალურად და ინტენსიურად მოაწყოს. საარაკო ფორმულაა სწორედ: გლეხი დაცემულია ეკონომიურად იმისთვის, რომ დაცემულია გონებრივად, და გონებრივად დაცემულია იმისთვის, რომ დაცემულია ეკონომიურად. მართლაც ეს ორი შემეცნება—ეკონომიური და გონებრივი—მტკიცედ არის შეკავშირებული ერთმანეთთან, ერთის დაცემას მოსდევს მეორის დაცემაც, მეორის აღდგენას—პირველის აღდგენა. ჩვენის გლეხის ეკონომიურად ამაღლებასთან მოჰყვება მისი გონებრივი ამაღლებაც და პირიქით, გონებრივ ამაღლებას ეკონომიური ამაღლება. ამისთვის მიწა და განათლება, განათლება და მიწა, აი რა ეჭირვება დღეს ჩვენს ხალხს და აი, რაზედ უნდა იყოს სამეურნეო კომიტეტთა ყურადღება მიქცეული. ამისათვის არის, რომ როგორც „С.-Петер. Вѣдом.“-ი ამბობს,

> უმანის სამაზრო კომიტეტი პროგრამის პირველ მუხლად აღიარებს სავალდებულო საყოველთაო სწავლების შემოღებას,—და ვიდრე ეს ოცნება განხორციელდებოდეს. უნდა გაუმჯობესდეს არსებულ სკოლებში სწავლების პროგრამა, უნდა ამაღლდეს მასწავლებელთა განათლების ცენზი და უნდა გაუმჯობესდეს მათი ნივთიერი მდგომარეობა, პირველ დაწყებით სკოლებს გარდა, უნდა დაარსდეს სატეხნიკო და სამეურნეო სასწავლებლები. უმანის მაზრაში არსებობს მიწის სათემო მფლობელობა, რომელიც უნდა გაუქმებულ იქმნას. გლეხების აზრით, მიწის მფლობელობის ამ გვარი ფორმა მეტად აფერხებს მეურნეობის განვითარებას“.

მიწის სათემო მფლობელობა ჩვენშიაც არსებობს, მაგ. ქიზიყში, გარე-კახეთში. მართლაც ამ გვარი ფორმა მეტად აბრკოლებს მეურნეობის არა თუ აღყვავებას, მის ასე თუ ისე რიგიანად მოწყობასა და ცოტაოდნად განკარგებასაც-კი. სათემო გლეხმა არ იცის, წელს რომ სათემო მიწის ნაჭერს ამუშავებდა, მერმისაც შეხვდება იგივე ნაჭერი თუ არა, რადგანაც მერმის ვინც მიასწრებს, იმას დარჩება ის მიწა. ამისათვის გლეხი არ სცდილობს სათემო მიწის გაუმჯობესებას. სწორედ ამიტომ საჭიროა გლეხს სათემო მიწიდგან თავისი წილი მიეზომოს და ბატონ-პატრონი თითონვე გახდეს, რათა მისი გაუმჯობესობა, რამდენადაც შესაძლებელია, თითონვე პატრონმა იკისროს. საჭიროა ჩვენმა კომიტეტმა, სხვათა შორის, ამ გარემოებასაც მიაქციოს ყურადღება.

⁂

ჟურნალ „Истор. Вѣстн.“-ის ოკდომბრის ნომერში დაბეჭდილია განგრძობა ბ-ნ ი. პ. იუვაჩევის წერილისა „მლოცავთა სიარული პალესტინაში“. ბ-ნი იუვაჩევი შესახებ ჯვარის მონასტერისა, რომელიც ორის ვერსის სიშორეზედ არის იერუსალიმიდან შემდეგს მოგვითხრობს;

> ჯვარის მონასტერი არის ერთი უძველეს მონასტერთაგანი პალესტინაში და აშენებულია ქართველებისაგან. მალე დაიწყეს ქართველებმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ წმ. ქვეყანაში მსვლელობა და ააშენეს აქ თავისი მონასტრები. მარტო იერუსალიმში ოდესმე თორმეტი მონასტერი ითვლებოდა, ქართველთაგან აშენებული. მაგრამ საქართველოს სამეფოს გაჭირვებულ დროს, როდესაც ქართველები მეტად შეავიწროვეს სპარსელებმა. ყველა ეს მონასტრები საშწუხარო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ: ზოგიერთნი დაინგრნენ, ზოგიერთნი გადავიდნენ ბერძნებისა, სომხებისა და ლათინთა ხელში. ჯვარის მონასტერი დაისაკუთრეს ბერძნებმა და დაარსეს მასთან 1853 წელს სასულიერო სემინარია, რომ ეს მონასტრები ქართველთა აშენებულია და ქართველთა საკუთრება ყოფილა, ამას ბევრი რომ ჰმოწმობს დღესაც. მონასტრების კედლებზედ არის საქართველოს მეფეების და წმინდანების სურათები, მაგალითად, მირიანისა, ვახტანგ გორგასლანისა, ბაგრატ IV კუროპალატისა, და სხვ.“

დიაღ, იყო დრო, როცა ბევრი რამ გვქონდა, მაგრამ მასუკან ბევრი რამ დავკარგეთ. ნუ თუ ახლა მაინც, როცა არც ყიზილბაში და არც ოსმალო აღარ გვაწუხებს, არ ვუ-

მოცდილნი უფრო სახერხო და საადვილო გზას გვიჩვენებენ სოფლის ქსენონების სამარადჟამო დღეგრძელობის ნიადაგზედ მტკიცედ დამკვიდრებისათვის.

მაჩხაანის ქსენონის ექიმს ყოველ დღე ასზედ მეტი ავადმყოფი და მათი პატრონი აწყდება დილიდამვე დღეობის ხალხივით შეჯგუფებული და ყველანი ქივილ-ხივილით ჩქარობენ თავიანთ საოჯახო თუ სამეურნეოსამრწველო საქმების მისაშველებლად. რაღა თქმა უნდა, რომ იმოდენა ავადმყოფების წესრიგიანად გაშინჯვას ერთი ექიმი ვერ გასწვდება და ვერც ყოველგვარ საჭირო წამლებს მისცემს მუქთად ყველა ავადმყოფებს, რადგანაც კომლეურად წელიწადში ათ შაურს იხდიან მხოლოდ საექიმო გარდასახადს და ამისათვის საკმაო საფანელი არ აბადია ქსენონის ღარიბს აფთიაქს, რისთვისაც ხალხი გულბრაზიანად სწყევლის და ავინებს „ეგეთი ვერანა საქმის მომგონებს“.

— აბა, რა ეშმაკი და ქაჯიაო, დღეში ექვსი აბაზი მუშაა (კალოობაში), ორი დღე მოვცდი, მინამ დოხტურთან მისვლის ჯერი მეღირსებოდა, და აი ეს ერთი ციცქნა საფაღარათო ზეთი ჩამიწკლანტეს პუტილკაში, ქრისტიანებო, ავანტყოფისათვინო! ბარემ აფთრიაქხანაში მეყიდნა შაურისა და ორი დღე აღარ მოვმცდარიყავ ერთი შაურის გულისათვი, ის არ მერჩივნაო?!

აი პირველი მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა, რომ ერთი ექიმი ვერა სწვდება ხუთი ათასი კომლის მრავალ ავადმყოფების გაშინჯვას და ორიოდე შაურის უბრალო წამლისათვის ერთსა და ორს დღეს სცდებიან სოფლელები და ზოგჯერ მეტსაც, როდესაც ექიმი მძიმე ავადმყოფთან მიჰყავთ სხვა-და-სხვა სოფლებში, ან როცა ექიმი შეუძლოდ არის და ან რამდენიმე დღით თუ კვირით საითმე მიდის უსაჭიროესი საქმისათვის. მაშასადამე, აუცილებლად საჭიროა მეორე ექიმი. არა, ხუთი ათასი კომლი ანუ ოცი ათასი სული და ერთი ექიმი ხუმრობა საქმე არ არის და ისიც ბატონყმობის უნახავ, ომახიან და გულამაყ ქიზიყელებში, რომელნიც ხშირად ისეთ შეურაცხყოფას აყენებენ ექიმს, რომ მხოლოდ დიდ-სულოვანი ბრძენი მოითმენს იმას და სხვა არავინ. მაგალითად: მიადგება ზორბა-ახმახი ტეტია უდრო-უჟამოდ ექიმს და გულმრისხანედ უყვირის ნამძინარევს: „ჯამაგირს გაძლევ, ჩემი მოჯამაგირე ხარ! თვალის კაკალი უნდა მაითხარო და ეხლავ გამამყვე ჩაჩანლით ავანტყოფთან, თუ არა-და, იგეთ მკვახე-მკვახეებს მოგარტყავ მა გასახმობ გოგრაში, რო სურათა მშობე დედილოს გაძახნინეფო!.“

არა იშვიათად მოჰხდება ხოლმე, რომ უბრალო სასაქმებელი ზეთი და ქინაც აკლდება ქსენონის ხელ-მოკლე აფთიაქს და მაშინ ხომ ვაი ქვასა და წყალს, მეტის-მეტად დიდგულა ქიზიყელების უკმაყოფილებას და გულ-გამეხებულ წყევლა გინებას საზღვარი აღარა აქვს; „თავდაპირველად გვატყუებდით: წამლები მუქთათ მოგეცემათ გამოულევლათო- და ეხლა კი ორი გროშის საფაღარათო ზეთიც არ გაბადიათ გამოლოკილ პუტლიკებში, თქვე აგეთ-იგეთებო“ და სხვანი.

აი მეორე მიზეზიც ხალხის საშინელი უკმაყოფილებისა: საკმაო წამლების უქონლობა. სწორედ რომ ძალიან დიდი შეცდომა იყო ჩვენის მხრით თავდაპირველიდგანვე მუქთა წამლების დაპირება დიდად მცირე გარდასახადის იმედით. ეხლა ესაც ვნახოთ, თუ რა შედეგი მოზდევს უფასო წამლებს.

ქსენონიდამ წამლების მუქთად ძლევას სიკეთესთან ის სამაცდურო ბოროტ-მოქმედებაც თანა ზდევს მელიას კუდივით, რომ ნახევარი ხალხი ტყუილად მიდის მოცლის დროს ქსენონში წამლების გულისათვის. მოტყუებით ართმევენ ქინას, სხვა-და-სხვა კაპლებს და ზოგნი თითონვე სვამენ და კარგა-მყოფ ნათესავებსაც ასმევენ ტყუილუბრალოდ და ზოგნიც სხვებს აყიდებენ ბ იმადლიერებენ. „მაშ წელიწადში ათ შაურს რისათვინ ვაძლევთ იმ წინწალ-გამქრალებს, გამოვცინცლოთ წამლები და გავყიდოთ ან დავლიოთ, თუ არას გვარგებს, ხო არას გვაზნევსო“, ასე სჯიან სოფლის კუდბაწარა მანდილოსნები.

მაჩხაანის ქსენონის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო და ბევრს ნიტრები, ჰიჰლები, „პუტლიკები“, ხელადები და კოკურები წამოეღოთ: „ადამიანის ჯან-ღონეზე მომყვან წამლებს დაარიგებენო“, გავრცელებულიყო ხალხში ასეთი ხმა.

— ჩემ ცხენს ყიზლიყურთი სჭირს და იმის წამალი უნდა გამოვართვაო.

— ჩვენ მერცხალა ვირს ხველებიანი ქუში გადაეკიდა და ამ ღამეთ არ მაძინებს ის ბალთამანი ხველებაში. მაშინ მე კიდე იმას გამოურთმევ წამალსო.

— რას ამბობთ, კაცებო, ცხენი და ვირი რასა ჰქვიან. ჩვენი წელში ამოკვანტილი ბერიკაცი ფეხებს ძლივლა დაათრევს მარილეთის გზაზე მოცვეთილ, თურქულიან ხარივით და იგრე აქოშინებს და ახიხინებს გულზე, იტყვი კაცი, რაც ქვეყანაზე ქოთაო და ყიზლი-ყურთია სუ იმას შაჰყრია საიქიოს გუდა-ნაბადის ასაკიდებლათო. მე იმას უნდა წაუღო ერთი ხელადა ჯან-ღონეზე მომყვანი წამალი და ვალოცინო ჩემი ცოდვილი თავიო, ასე მასლაათობდნენ ქსენონის კურთხევის დღეს გლეხკაცები, მაგრამ ბოლოს ყველანი სახტად დარჩნენ: რატო წამლები არ დაგვირიგესო. ერთის სიტყვით, მდაბიო ხალხსა ჰგონია: რახან ათ-ათ შაურს ვიხდით კომლეურად და მუქთა წამლებს დაგვპირდნენ, უკვდავების წამალიც-კი უნდა გვიშოვნონ და კოკებით გაგვატანონ სახლში წყაროს წყალივით, რომ ბატის ჭუკებსაც-კი დავალევინოთო.

მაჩნაანის ქსენონს 300 მანეთამდის რჩება მედიკამენტისათვის. მოდი ბ წელიწადში სამასი მანეთის წამლები გააწვდინეთ ხუთი ათას კომლის ოცი ათას სულს ადამიანს! ამოდენა აუარებელ ხალხს სამოცი თუმნისა ჯერ-მარტო სასაქმებელი ზეთიც არ ეყოფა მაშინ, როდესაც ათას დღეობებსა, ნიშნობებსა, ქორწილებსა, ნათლობა-ქელეხებში და სხვა-და-სხვა წვეულებაში თუ საუფლო დღეებში სასიკვდილო ინთილას იკრავენ ხოლმე ზომას-გადაცილებულ ჭამა-სმით და დორ-მუცლობით.

მეორეც ეს, შეიძლება ერთმა ავადმყოფბიანმა ოჯახმა თითქმის ყოველ-დღე წამალი ჰზიდოს ქსენონიდამ (რომ ჰქონდეს ქსენონს საკმარისად) და ასე და ამ გვარად წლის-წლობამდის ოცის თუმნისა და მეტიც წამალი გაიტანოს ამ შაურზე, რისთვისაც მოლავიდარაბე ქუდოსან-მანდილოსნები ერთმანეთს [illegible] არ დაულევენ: ჩვენ ფულს გვიხდიებენ და სხვები წამლებს ეზიდებიან.

ქიზიყის ხალხის საშინელი ზიზღი ქსენონიზიზღის, მართალია, ბევრმა წვრილმანმა მიზეზმა დაჰბადა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ქსენონების მოსპობის აუზრახებისა საკმაო წამლების უქონლობა და ერთის ექიმის გაუწვდენლობა, ანუ მდაბიურად რომ ვსთქვათ: ძაღლის თავი ექიმის წამლობასაც და ექიმის გაუწვდენლობაში ჰმარხია; ამას თვით ეს [illegible] საქმე კეთილ-გონიერულად უნდა მოწყობილიყო, [illegible] თუ ვინდა, რომ ეს დიდად საჭირო დაწესებულება, მის ჭრაჭით გაქრობაზე აღარ ცდილობდეს და ექიმ-[illegible] ლების გამოლევად, იმათ წამლებსაც თავ-პირ[illegible] მრავალი [illegible] ქება [illegible] ზე აფრინდა, მალე[illegible], და ჩვენისთანა დაბრმავებულ საწყლებს-კი ჰალერის კვირი [illegible]: „წამლები გათავდა! ხვალ გაგზავნებამ, დღეს არა გვაქვსო!“ და სხვანი.

ქიზიყელი.

(დასასრული იქნება)

პატრონებთ ჩვენს დიდებულ და ძვირფასს ნაშთებს და იმათაც სხვებს დავასაკუთრებინებთ.

წ ე რ ი ლ ე ბ ი
რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ

I

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზ. „ივერიის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა სურამის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ათის მანეთის წიგნები.

სურამის სამკითხველოს გამგე გრ. ნებიერიძე.

II

თქვენის გაზეთის «ივერიის» მე-213 ნომერში დაიბეჭდა მცირე შენიშვნა ბათუმიდგან ვინმე ნეოფიტე იესეს ძე დლონტისა, რომელიც ჩვენ შეგვეხება. რომ ხსენებული შენიშვნა მიმკერძვეობით არ იყოს დაწერილი და ამით სიმართლეს მოკლებული, რითაც რედაქცია შეცდომაში შეიყვანა ბ-ნმა დლონტმა და, რომ იგი არ ეხებოდეს ისეთ საზოგადო საქმესაც, რომელიც ძვირფასია ყოველი კულტურული კაცისათვის და მით უმეტეს ჩვენ, ქართველებისათვის, ჩვენი განსაკუთრებული მდგომარეობისა გამო, ასეთ შენიშვნას ჩვენ პასუხის ღირსადაც არ გავხდიდით და არც თქვენ შეგაწუხებდით, მაგრამ ახლა-კი გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელს ნომერში ჩვენს მცირე წერილსაც. ბ. ნეოფიტე დლონტი სწერს: „ათს სეკდემბერს „ცნობის ფურც.“ მე-1920-ე ნომერში ბ-ნი —ონ—ლიძე სწერს შემდეგს: ქ. ბათუმში, კვირას, 1 სეკდემბერს ქართული თეატრის აქტიორების სახელით წუწუნავამ და ურუშაძემ, ვიღაცა სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინეს „სამშობლო“. ჩემის აზრით, ბ.—ონ—ლიძე ძლიერ სცდება, რადგანაც იმ აღნიშნულს დღეს მე თითონ და ბევრი ისეთები, რომელნიც უფრო სცნობენ თეატრის გემოს, ვიდრე ბ.—ონ—ლიძე დავესწარით და ყველანი მადლიერი დავრჩით იმათი წარმოდგენით. არ ვეხები სხვებს და არც იმას, რომ შეჰფეროდა ბ-ნ წუწუნავას შაჰის როლი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ბ-ნი წუწუნავა შესამჩნევად ასრულებდა თავის მოვალეობას და ამისთვის მადლობის ღირსი იყო და არა გინებისა. კარგი იქნება ბ-ნმა —ონ—ლიძემ უსამართლო ჩხაპნას გაზეთებში თავი დაანებოს და თავის შესაფერ საჯდომზედ დაჯდესო“.

ამ შენიშვნიდგან მკითხველი ვერაფერს ვერ გაიგებს იმის მეტს, რომ მე დამიწერია წუწუნავას შესახებ რაღაცა, რაც არ მოსწონებია ბ-ნ დლონტს. ეს უკანასკნელიც ამდგარა და იმ „რაღაცის“, ე. ი. საგნის, გამოურკვევლად მიჯავრდება მე და აქებს წუწუნავას, რაც მკითხველისათვის არაფერი საინტერესო არ უნდა იყოს. საქმე-კი აი რაშია: ჩვენი წერილი დაიბეჭდა „ცნ. ფურც.“ 1920 №-ში რომელშიაც ვეხებოდით ბათუმში ქართული წარმოდგენების ვითარებას და სხვათა-შორის აღვნიშნეთ ბ.ბ. წუწუნავას და ურუშაძის არა მათი შესაფერი მოქმედება, რომ მათ სცენის მოყვარეთა დახმარებით დასდგეს პირველ სეკდემბერს პიესა „სამშობლო“ ბათუმის სცენაზე, რომელშიაც პირველმა ითამაშა შაჰ-აბაზის და მეორემ ლ. ხიმშიაშვილის როლი. რომ ეს როლები მათი შესაფერისი არ იყო და ამიტომ მათ წარმოგვიდგინეს უფრო კარრიკატურული ტიპები, ვიდრე ნამდვილი და გამოვსთქვით ჩვენი აზრი, რომ: „სამწუხაროა, როცა პიესას ასე აბუჩად იგდებენ და ფეხქვეშ სთელავენ, საზოგადოებას ატყუებენ და თავსაც იმასხრებენო იმაზე ვინც იცნობს ვ. ურუშაძეს და ა. წუწუნავას, დაგვეთანხმება, რომ პირველი ლევან ხიმშიაშვილის, ხოლო მეორე შაჰაბაზის როლში ყოვლად შეუფერებელნი არიან. ამ ვაჟბატონების თავგასულობა მეტიჩრობათ და საზოგადოების აბუჩად აგდებათ უნდა ჩაითვალოს... „ვურჩევთ ა. წუწუნავას და ვ. ურუშაძეს „ქართული თეატრის აქტიორების“ სახელით თავი გაანებონ წარმოდგენების მართვას და პიესების დამახინჯებას, რითაც თითონაც ირცხვენენ თავს და ქართულ თეატრს და ხელოვნებასაც სახელს უტეხენ“-თქო. აი, რას გაუჯავრებია ბ-ნი დლონტი, მაგრამ ამავე საგანზე გადმოგვცემს რა დაწვრილებით „კვალი“-ს მე-38 ნომერში ბ. კატო დასძენს, რომ: „სამშობლო“ ერთი იმ პატრიოტულ დრამათაგანია, რომლის ბადალი არ მოეპოვება ქართულ სცენას. მისი გმირები ისეთი გმირებია, რომ მათი დასახვა ნიჭიერ არტისტებსაც-კი უძნელდებათ და, ნუ-თუ ასაშფოთებელი არ არის, როცა ასეთ გმირებს ურუშაძე-წუწუნავები ამახინჯებენ“-ო. და, მართლაც არ შეიძლება სხვაგვარი შთაბეჭდილება გამოეტანა კაცს ზემოხსენებული წარმოდგენიდგან, ვისაც ბ-ნ დლონტისამებრ არა აქვს განვითარებული „თეატრის გემო“. ჩვენ ქართველებისათვის თეატრი, სცენა ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც ჩვენი ცხოვრების ავკარგიანობას, ჩვენს აზრსა და ფიქრს ვეცნობით მშობლიურ ნიადაგზე. აქ მხოლოდ, აქ გვესმის ჩვენ, ჩვენს სამშობლო ენაზე; ჩვენი დარდი და ვარამი, მწუხარება, სიხარული და აღტაცება და ამიტომ თითოეული ჩვენგანისათვის ვინც ბ-ნ დლონტივით არ აფასებს ხელოვნებას, ძვირფასი უნდა იყოს ქართული თეატრი, ეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ერთად-ერთი წმინდა ტაძარი, რომლის შეურაცხყოფას და აბუჩად აგდებას ადვილად არ უნდა ვსთმობდეთ. ჩვენ არავითარი პირადი უსიამოვნობა არა გვაქვს არც წუწუნავასთან და არც ურუშაძესთან, რომელსაც არც-კი ვიცნობთ, ხოლო თუ მათ შესახებ სიმართლე ვსთქვით, არ შეგვეძლო ასე არ მოვქცეულიყავით, რადგან ჩვენ ზნეობრივად პასუხის მგებელი ვიყავით როგორც რედაქციის ისე საზოგადოების წინაშე. იმავე წერილში იგივე აზრი გამოვსთქვით, ბათუმის სცენის მოყვარეებზედაც და ვსთქვით, რომ „ისინი თავიანთი ძალ-ღონის მიუხედავათ, არ ერიდებიან საუკეთესო პიესების წარმოდგენასაც-კი, რის გამოც ბევრჯელ გვინახავს, რომ მათ დრამები კომედიებათ და კომედიები ბალაგნურ თავ-შესაქცევად გადაექციოთ“-მეთქი. ამის შემდეგ მკითხველმა განსაჯოს რამდენათ სამართლიანია ბ-ნ ნეოფიტე დლონტის სიტყვები, რომ გვიკიჟინებს: ძლიერ სცდებიო, განსაჯოს თუ რამდენათ ჩვენზე „უფრო სცნობენ თეატრის გემოს“, ბ-ნი დლონტი და ისინი, რომელნიც „მადლიერნი დარჩენილან“ მისი სიტყვით წუწუნავასი. დიახ წუწუნავასი, თორემ დანარჩენებზე კი ამბობს: „არ ვეხები სხვებსო“. (ალბათ იმიტომ, რომ მარტო წუწუნავას სწყალობს) ხოლო საკვირველი ის არის, რომ ბ-ნი დლონტი არ ეხება „არც იმას, რომ შეჰფეროდა თუ არა ბ-ნ წუწუნავას შაჰ-აბაზის როლი.“ მარა ეს რა საჭირო იყო მისთვის, მას რაც უნდოდა კიდეც სთქვა ე. ი. „ვიტყვი მხოლოდ რომ ბ-ნი წუწუნავა შესამჩნევად ასრულებდა თავის მოვალეობას და ამისთვის მადლობის ღირსიაო“. კარგი მარა სად არის აქ ლოღიკა? თუ ის არ იცის ბ-ნმა დლონტმა, რომ შეჰფეროდა თუ არა ბ. წუწუნავას შაჰ-აბაზის როლი, რაფერდა გაიგო რომ იგი ამ უკანასკნელს „შესამჩნევად“ ასრულებდა. აქ მას პირდაპირ ემჩნევა რომ მიმკერძვეობით და თავისი მეგობრის გულის მოსაგებათ სწერს, რაც სეკადრისი არ არის არავისთვის, იმიტომ, რომ ჯერ რედაქცია შეჰყავს შეცდომაში და მერმე მკითხველები. რაც შეეხება ბ-ნ დლონტის რჩევას, რომ „კარგი იქნება ბ.—ონ—ლიძემ უსამართლო ჩხაპნას გაზეთებში თავი დაანებოს და თავის შესაფერ საჯდომზე დაჯდესო“, ეს მეტია მისი მხრივ, რადგან ჩვენ მისი დარიგება არ გვეჭირვება. ჩვენ თვითონ გვეჯავრება ისეთი პირები ვინც „უსამართლო ჩხაპნას“ მისჩვევიან, რომელთა რიცხვში სამწუხაროდ თვით ნეოფიტე იესეს-ძე დლონტიც მოჰყოლია, რასაც მკითხველიც ჰხედავს.

—ონ—ლიძე.

„ივერიის“ ფოსტა:

ფოთს. ამხანაგს. თქვენმა წერილმა დაიგვიანა და, სამწუხაროდ, ველარ დაიბეჭდება.

ოზურგეთს. ალ. წ—ას, ევ. ს—ძეს და ს. ხ—ძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

საბუნჩა. პეტრეს. „მცირე შენიშვნა ბ-ნ ნაპერწკალს“, არ დაიბეჭდება.

აბაშა. დ. გ—ას. თქვენი ლექსი „მდუმარე გულს„ არ დაიბეჭლება.

ფოთს. თ. ძ—ას. თქვენი ლექსი „ფოთი“ არ დაიბეჭდება.

ძ. გ—ს. თქვენი ლექსი „უცხო ფრინველს“ არ დაიბეჭდება.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 ოკდომბერი.

დარმშტადტი. დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ მობრძანდა შუადღისას. სადგურზე მათ მიესალმნენ დიდი ჰერცოგი, პრინცი ჰენრიხი მეუღლითურთ და სხვა პრინცები.

ლონდონი. 14 ოკდომბერს მეფემა და დედოფალმა მიიღეს ბარონი სტაალი, რომელმაც მიართვა მეფეს ელჩობის ქაღალდები. მერმე მიიღეს ქ-ნი სტაალი. საღამოს ბარონ სტაალი მიიღო უელსის პრინცმა.

ტიანძინი. იუანშიკაის, ვითარცა ვაჭრობის მინისტრს, დაევალა უმაღლესი ზედამხედველობა სამთამადნო მრეწველობისა, რკინის გზებისა, ტელეგრაფისა და ალებ-მიცემისა. წინანდელ ღენერალ-გუბერნატორთაგან მხოლოდ მას მიენიჭა ყველაზედ მეტი უფლება.

კონსტანტინეპოლი. ინგლის-ოსმალეთის უსიამოვნობა შესახებ იემენსა და ადენს შორის მდებარე მიწების მიჯნების გასწორებისა, ალბად, მორიგებით გათავდება. ოსმალნი იძულებულ იქმნებიან თავი დაანებონ ოლქს. ინგლისელები ამტკიცებენ, რომ ოლქი დასახლებულია არაბებით, რომელნიც ინგლისის მფარველობის ქვეშ არიანო.

ლონდონი. ბურთა წინანდელმა წინამძღოლებმა კრუიცინგერმა, ჟუბერმა და ფუშემ კემბრიჯს წარმოსთქვეს სიტყვები. ჯგუფი ახალგაზდათა შეიკრიბა სახლის წინ და ემუქრებოდა მათ. ფუშე და ჟუბერი წავიდნენ ომნიბუსით, პოლიციის მიერ მიცილებულნი.

პეტერბურგი. განზრახულია სამიწადმოქმედო სამინისტროში მოიწვიონ მესამე კრება ტყის მცველთა.

ნიკოლაევის, ვარშავის და ბალტიის გზების მიერ მიღებულია ღონისძიებანი ხორბლის დაბანდების წინაალმდეგ. საგზაო სამინისტრომ გაგზავნა კაცები იმ ადგილებში საცა ხორბალი ბანდდება.

მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

16 ოკდომბერი

სოფია. მინისტრთა პრეზიდენტის ნებართვით დაიწყო საერო კრება ჩვეულებრივ ცერემონიალის შეუსრულებლად.

პარიჟი. დელკასემ მოახსენა მანისტრთა საბჭოს რომ, ერთის მხრით გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი, მეორეს მხრით, იაპონია შეთანხმდნენ, რათა სამედიატორო სამართალმა განიხილოს იმ ხელშეკრულობის დარღვენილება, რომელიც იაპონიაში უცხოელების ქონების იჯარით გაცემას შეეხებაო. მსაჯულებათ გააგის სამედიატორო სამართლის წევრები დაინიშნებიან.

სოფია. აჯანყებულები ისევ განაგრძობენ ბრძოლას კრესნესკის ვიწროებში და იქიდგან ავიწროებენ ოსმალთ.

სოფია. კრება დაიწყო დენევის სიტყვით, რომელმაც ილაპარაკა თუ რა კარგი განწყობილებაა სამთავროს და სხვა სახელმწიფოთა შორისო. დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და რუსეთის გენერლების მოსვლა და ის აღფრთოვანებული დახვედრა, რომლითაც ხალხი მიეგება მათ, ეს იმის მომასწავებლია, თუ რა კარგის თვალით უყურებს ხელმწიფე იმპერატორი ბულგარიას, მთავარს და მთელ დინასტიას, ეს იმას ამტკიცებს, თუ რა განუყრელი კავშირია განმთავისუფლებელ და განთავისუფლებელთ შორის.

ჩიკაგო. ჯონ ველსონმა სავაჭრო კლუბში ილაპარაკა, თუ რა სასურველია სავაჭრო კავშირი არსებოდეს შეერთებულ შტატებსა, კუბასა, პორტარიკოსა და კანადას შორის ევროპის საწინაღმდეგოთ, შტატების ვაჭრობის გასაძლიერებლადო. კანადაში ვაჭრობის თავისუფლება უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს; მხოლოდ საჭიროა ამერიკის ტარიფის შემოღება ინგლისის საწინაალმდეგოთ. მიანროეს დოქტრინა კანადაშიაც უნდა გავრცელდეს, თუ ინგლისი უკანონოდ მოქცევა თავის ახალშენებს, ამ შემთხვევაში შეერთებულ შტატებმაც ხმა უნდა ამოიღოსო.

ლონდონი. სათემო პალატაში კრანბორნმა განაცხადა, რომ ინგლისს სამხედრო ძალა სამალაში 4,920 ჯარის-კაციდგან შესდგებაო.

პეტერბურგი. ოდესაში შავი ჭირით ავად გამხდარა 28 მაისიდგან 13 ოკდომბრამდე 47, მომკვდარა 15 და საავადმყოფოშია 14.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288 წვრ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,200 წვრ. გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	356 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	187 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

19 ოკდომბრისთვის

1. კონსტანტინე იოსების ძესი და სვიმონ აბდუშელიშვილების დავა მამულის გაყიდვის შესახებ.
2. დავით ნოზაძის და ნიკოლოზ ბერუჩავას დავა.
3. ივანე ჯანჯავასი და დავით ჯანჯავას დავა.
4. სოლომონ ბუკშტეინის და ფარნაოზ ვაწაძის დავა.
5. პავლე ბუაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
6. ლუკასი და უტო ბაბიათა დავა.

26 ოკდომბრისათვის

7. ნატალია დავითის ასულის კონტრიძისა და თევდორე ხუნდაძის დავა.
8. თ—დ ივანე მაჩაბლის, ბათაშვილის, თიგიშვილისა და თიბილაშვილის საქმე.
9. სოფრომ ვარაზაშვილისა და ერმინე ომანიძის დავა.
10. აკიფ-ეფენდი დერვიშ-ალა-ზადეს ობლების და ვასილ სიხარულიძის ობლების დავა.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. გ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

„Золотая Нива“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. ჩუხუნავასი	„	50
ნამუნი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15

კომპანია „გრამოფონი“.

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ამატუნისა № 7.

[illegible] 69.

მრავალი გრამოფონი გვაქვს ყოვლად-გაუმჯობესებული.

დიდ-ძალი მეტალის ფირფიტები სახელ-განთქმულ და ცნობილ მომღერალთა, როგორც მაგალ. რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრაგთა, ინგლისელთა, იტალიელთა, გერმანელთა, და სხვათა მომღერალთა.

ფირფიტების არჩევის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ჩვენს საფაბრიკო დამღას: „მწერალი ანგელოზი“, ურომლისოდაც ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ.

კომპანიის საწყობთან განსაკუთრებული სახელოსნოა, რომელიც, თუ საჭიროა, გაჰმართავს და შეაკეთებს გრამოფონს.

კომპანია ხუღდავანობს კისრულობს, რომ გრამოფონი წესიერად იმუშავებს სამის წლის განმავლობაში.

მაღაზია თავის ხარჯით კისრულობს საქონლის შეხვევას, ყუთში მოთავსებას და გაგზავნას.

გაგზავნა რკინის გზის ყველა სადგურზედ (ზაფხულში გემითაც) კომპანიის ხარჯით შეიძლება.

ფოსტით გაგზავნის ხარჯსაც სანახევროდ კამპანია კისრულობს.

კვირაობით მაღაზია დაკეტილია, სხვა დღეებში-კი ღიაა დილის 8½ საათიდგან საღამოს 9 საათამდე.

შეიძლება მოითხოვოთ დასურათებული კატალოგები.

ნაღდად მყიდველთ ახალი პრეისკურანტები ეგზავნებათ მოთხოვნილებისამებრ. (10—434—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) дворцовая, Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაზიშვილი.